საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

ბრძანება №28

2011 წლის 7 ივლისი

ქ. თბილისი

ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის №132 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქცია.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის №52 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ხაჩიძე

ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ გარემოს დაცვის სფეროში ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს.
2. ინსტრუქციის მიზანია უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სტრუქტურული ერთეულის – ინსპექტირების სამმართველოს (შემდგომში – სამმართველო) თანმიმდევრული, თანაზომიერი, სამართლიანი, შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური საქმიანობა.

მუხლი 2

ა) რეგულირების ობიექტი – „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში შემავალი საქმიანობის განმახორციელებელი პირი;

ბ) ინსპექტირება – „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში შემავალ საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

გ) ინსპექტირების განმახორციელებელი პირი – სამმართველოს თანამშრომელი.

მუხლი 3

ინსპექტირების მიზანია:

ა) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფა;

ბ) რეგულირების ობიექტების კანონმორჩილების დონის ამაღლება კანონდარღვევათა შემაკავებელი ატმოსფეროს შექმნა;

გ) კანონებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისადმი ნდობის განმტკიცება.

მუხლი 4

ინსპექტირება სახეებია:

ა) დათვალიერება/შესწავლა;

ბ) შერჩევითი შემოწმება:

ბ.ა) არაგეგმური შემოწმება;

ბ.ბ) გეგმური შემოწმება.

თავი II
ინსპექტირების განხორციელების სამართლებრივი რეგულირება

მუხლი 5

1. ინსპექტირების განხორციელების საფუძველია საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. დათვალიერება/შესწავლის განხორციელებისას ინსპექტირების განხორციელების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია სახელმწიფო ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, იურიდიული პირებისა და მოქალაქეების განცხადება/საჩივრები.

3. არაგეგმური შემოწმების განხორციელებისას ინსპექტირების განხორციელების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი შესაძლოა იყოს დათვალიერება/შესწავლისას რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია.

4. გეგმური შემოწმების განხორციელებისას ინსპექტირების განხორციელების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გარემოსდაცვითი შემოწმების გეგმა და მასში განსაზღვრული პრიორიტეტები.

მუხლი 6

1. ინსპექტირება დაწყებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა რეგულირების ობიექტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება სამმართველოს თანამშრომლის სამსახურებრივი მოწმობა და მინისტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ინსპექტირების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 დღეს.

მუხლი 7

ინსპექტირების განხორციელების თაობაზე მინისტრის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტით უნდა განისაზღვროს:

ა) ინსპექტირების სახე;

ბ) ინსპექტირების განმახორციელებელი პირები (თანამდებობა, სახელი და გვარი, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობა);

გ) რეგულირების იმ ობიექტ(ებ)ის სახელწოდება(ები) სადაც უნდა განხორციელდეს ინსპექტირება;

დ) ინსპექტირების განხორციელების ადგილი (რეგულირების ობიექტ(ებ)ის მფლობელობაში არსებული ერთი ან რამდენიმე ობიექტის ფაქტობრივი მისამართი).

თავი III
ინსპექტირების მომზადება

მუხლი 8

ინსპექტირების დაწყებამდე დგინდება ზოგადი ინფორმაცია რეგულირების ობიექტის შესახებ (მათ შორის, საკანონმდებლო მოთხოვნები, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები, რეგულირების ობიექტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსპექტირებისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია).

მუხლი 9

ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს თან იქონიოს შემდეგი აღჭურვილობა ან მასალები:

ა) კავშირგაბმულობის საშუალებები;

ბ) პორტატიული პერსონალური კომპიუტერი;

გ) ლაბორატორიული სინჯის ასაღები და გამზომი ხელსაწყოები;

დ) ფოტო და ვიდეოკამერა;

ე) ასევე ნებისმიერი სხვა აღჭურვილობა ან მასალები, რომლებიც ესაჭიროება მას ინსპექტირების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

თავი IV
ინსპექტირების განხორციელება

მუხლი 10

1. რეგულირების ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს თავისი წარმომადგენლის დასწრება ინსპექტირების პროცესში.

2. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელის უარი ინსპექტირების პროცესში მისი მონაწილეობის შესახებ არ აჩერებს ინსპექტირების პროცესს.

მუხლი 11

1. რეგულირების ობიექტის ხელმძღვანელობა ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების განმახორციელებელ პირს ინსპექტირების პროცესში მისი კანონიერი ქმედებების განხორციელებისას.

2. რეგულირების ობიექტი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში აღჭურვოს ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოს მათ ინფორმაცია უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ, გამოუყოს მათ სამუშაო ადგილი და განახორციელოს მათი ტექნიკური უზრუნველყოფა.

3. ინსპექტირების განხორციელებისას რეგულირების ობიექტმა არ უნდა დაუშვას:

ა) კონკრეტული ობიექტის დაკეტვა, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის იმ ტერიტორიაზე არდაშვება, სადაც უნდა განხორციელდეს საკონტროლო ღონისძიებები;

ბ) რეგულირების ობიექტის საწარმოო დანადგარებისა და მოწყობილებების გამორთვა ან მათთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;

გ) მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოუდგენლობა;

დ) ისეთი ოპერაციების შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია სინჯებისა და ნიმუშების ასაღებად;

ე) ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა.

4. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი აფრთხილებს რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს, ინსპექტირების განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 12

1. დათვალიერება/შესწავლა შესაძლოა მოიცავდეს:

ა) რეგულირების ობიექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოპოვებას, რეგულირების ობიექტისგან განვლილ და მიმდინარე საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიღებას;

ბ) რეგულირების ობიექტის საქმიანობის ადგილის, ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების შიდა და გარე სივრცის, გარემოსდაცვითი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნებისმიერი ობიექტის, ასევე მოწყობილობა-დანადგარების ვიზუალურ დათვალიერებას;

გ) საჭიროების შემთხვევაში რეგულირების ობიექტისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ლაბორატორიული სინჯების აღებასა და გაზომვების ჩატარებას;

დ) რეგულირების ობიექტზე გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების შემოწმებასა და შესაბამისი ინფორმაციის მიღებას;

ე) ისეთი სხვა ქმედებების განხორციელებას, რომლებიც ემსახურება დათვალიერება/შესწავლის მიზნების შესრულებას.

2. დათვალიერება/შესწავლისას რეგულირების ობიექტის საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რეგულირების ობიექტის არაგეგმური შემოწმების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 13

1. გეგმური/ არაგეგმური შემოწმება შესაძლოა მოიცავდეს:

ა) კომპეტენციის ფარგლებში გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შემოწმებას;

ბ) რეგულირების ობიექტის საქმიანობის ადგილზე მიმდინარე ან განხორციელებული სამუშაოების, საწარმოო პროცესების და მოწყობილობა-დანადგარების შემოწმებას;

გ) რეგულირების ობიექტის თვითმონიტორინგის შედეგების შემოწმებას;

დ) საწარმოში არსებული შესაბამისი მოწყობილობების შემოწმებას;

ე) რეგულირების ობიექტის მიერ წარმოებული შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტების შემოწმებას;

ვ) რეგულირების ობიექტის მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემოწმებას;

ზ) რეგულირების ობიექტებისგან კანონმდებლობით დადგენილი წესით ინსპექტირებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალების, ასევე არსებობის შემთხვევაში ლაბორატორიული ანალიზის შედეგების მიღებას, მათ შორის, ადგილზე გაცნობას;

თ) რეგულირების ობიექტების ტერიტორიაზე ლაბორატორიული სინჯების აღებისა და გაზომვების დაუბრკოლებლად ჩატარებას;

ი) გამოვლენილი დარღვევების შესახებ შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებას;

კ) რეგულირების ობიექტის დათვალიერებასა და შესაბამისი დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას;

ლ) ნებისმიერი იმ დოკუმენტაციის შემოწმებას, რომელიც მნიშვნელოვანია გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენისათვის;

მ) ლაბორატორიული გამოკვლევისა და ექსპერტიზის ჩატარებისათვის სინჯების აღებას და შესაბამისი გაზომვების ჩატარებას;

ნ) ისეთი სხვა ქმედებების განხორციელებას, რომლებიც ემსახურება გარემოსდაცვითი შემოწმების მიზნების შესრულებას;

2. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს რეგულირების ობიექტის საწარმოო პროცესის ნებისმიერი ასპექტი, მათ შორის:

ა) დაბინძურების თავიდან აცილებისა და მასთან დაკავშირებული კონტროლის და (ავარიული) შეტყობინების სისტემები;

ბ) სინჯების ასაღები მოწყობილობები.

3. ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია რეგულირების ობიექტისგან მოითხოვოს:

ა) ინფორმაცია საწარმოო პროცესების შესახებ;

ბ) დოკუმენტაცია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შესახებ;

გ) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მონიტორინგის სხვა მონაცემები, რომელთა აღრიცხვის ვალდებულებაც განსაზღვრულია გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვით/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობით;

დ) წლიური ან სხვა ანგარიშები;

ე) საოპერაციო ჩანაწერები;

ვ) ინფორმაცია ნარჩენების გადამუშავების და განთავსების შესახებ;

ზ) გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმები;

თ) საინჟინრო შეფასებები (მაგ., საწარმოს ტექნიკური სქემები);

ი) ინსპექტირების განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაცია.

4. ინსპექტირების განხორციელების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია რეგულირების ობიექტისგან მოითხოვოს საწარმოს მუშა მდგომარეობაში მოყვანა.

5. ინსპექტირების განხორციელების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს რეგულირების ობიექტისგან მოითხოვოს ზოგიერთი საქმიანობის შეზღუდვა, თუ სხვა გზით ინსპექტირების განხორციელება შეუძლებელია. აღნიშნულმა ქმედებებმა არ უნდა გამოიწვიოს ავარიული სიტუაციების შექმნა.

6. ადამიანური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, გეგმიური და არაგეგმური შემოწმებები შეძლებისდაგვარად უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს. რეგულირების ობიექტების საქმიანობის სპეციფიკიდან და შემოწმების მიზნებიდან (საფძვლებიდან) გამომდინარე, გეგმური და არაგეგმური შემოწმება შესაძლებელია ჩატარდეს მიზნობრივად, გარემოს ცალკეული კომპონენტების ან მიმართულებების მიხედვით.

მუხლი 14

ინსპექტირების პროცესში ლაბორატორიული სინჯების აღების, შესაბამისი გაზომვებისა და ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების მიზნით, შესაძლოა მოწვეულ იქნენ სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები, რაც ფიქსირდება სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას ინსპექტირების აქტში (შემდგომში – ინსპექტირების აქტი).

მუხლი 15

1. ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირს უფლება აქვს აწარმოოს რეგულირების ობიექტის საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების, მისი გარემოსდაცვითი საქმიანობის (მაგ.: ნარჩენების გადამუშავების, განთავსების ან შენახვის ადგილების, ჰაერის დაბინძურების მაკონტროლებელი მოწყობილობების, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების/დანადგარების და ა.შ.), ასევე გამოვლენილ დარღვევათა ფოტო/ვიდეო გადაღება.

2. ფოტოები და ვიდეოჩანაწერი გამოიყენება როგორც ვიზუალური მტკიცებულება, რეგულირების ობიექტზე გამოვლენილი პირობების ობიექტურად აღწერისათვის, ასევე როგორც მტკიცებულებები რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის დასადგენად.

3. ინსპექტირების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფოტოაპარატი/ვიდეოკამერა თარიღისა და დროის ავტომატური რეჟიმით, ან ინსპექტირების განმახორციელებელი პირი აფიქსირებს ამ ინფორმაციას სხვა საშუალებებით.

4. რეგულირების ობიექტი უფლებამოსილია მოითხოვოს კომერციულ საიდუმლოებასთან დაკავშირებული პროცესების ან ოპერაციების ამსახველი ფოტო/ვიდეო გადაღების

კონფიდენციალურობის დაცვა, რაც შესაბამისი დასაბუთებით უნდა ეცნობოს ინსპექტირების განმახორციელებელ პირს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული რეგულირების ობიექტის მოთხოვნა არ აჩერებს ინსპექტირების პროცესში ფოტო/ვიდეო გადაღების განხორციელებას, ხოლო ინსპექტირების დროს მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის (მათ შორის, ფოტოსურათებით, ვიდეოკადრებით მიღებული ინფორმაციის) კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16

1. ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს და რეგულირების ობიექტის სხვა თანამშრომლებს მოსთხოვოს წერილობითი ინფორმაცია რეგულირების ობიექტის განვლილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

2. იმ პირებს, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, ახსნა-განმარტება უნდა ჩამოერთვათ თარჯიმნის მეშვეობით.

მუხლი 17

1. ინსპექტირების განმახორციელებელმა პირმა დოკუმენტის სახით არსებული მტკიცებულება უნდა მოიპოვოს შემდეგის გათვალისწინებით:

ა) ქაღალდის ფორმით არსებული დოკუმენტების შემთხვევაში შემოწმებულ და შესწავლილ უნდა იქნეს მათი ორიგინალები (მათი არსებობისას), ხოლო თუ ასლის გადაღებაა საჭირო, ეს უნდა მოხდეს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მეთვალყურეობით;

ბ) ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაბეჭდი ან ასლები ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მეთვალყურეობით.

2. ინსპექტირების განმახორციელებელმა პირმა უნდა მოითხოვოს დოკუმენტის ასლის დამოწმება რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის ხელმოწერითა და შესაბამისი ბეჭდით (მისი არსებობისას).

3. ინსპექტირების განმახორციელებელი პირები მოვალენი არიან დაიცვან მოპოვებული მტკიცებულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V
ქმედებები ინსპექტირების დასრულებისას

მუხლი 18

1. ინსპექტირების დასრულების შემდგომ ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეადგინოს ინსპექტირების აქტი, რომელშიც აისახება ინსპექტირებისას განხორციელებული ქმედებები. ინსპექტირების აქტს ხელს აწერენ მასში მონაწილე პირები.

2. ინსპექტირების აქტის ერთი ეგზემპლარი ბარდება რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი ინსპექტირების აქტის ჩაბარებას ადასტურებს ინსპექტირების აქტზე ხელმოწერით. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს წარმოადგინოს შენიშვნები, რომლებიც აისახება ინსპექტირების აქტში.

3. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელის მხრიდან ინსპექტირების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

4. ინსპექტირების აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ეგზავნება რეგულირების ობიექტს ინსპექტირების აქტის შედგენიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის მიერ ინსპექტირების აქტის ხელმოწერაზე უარი არ აჩერებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განხორციელებას.

6.ინსპექტირების აქტი საქმის სხვა მასალებთან ერთად (მათი არსებობისას), შედგენიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა წარედგინება დეპარტამენტის უფროსს.

მუხლი 19

1. გეგმური/არაგეგმური შემოწმების პროცესში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, გეგმური/არაგეგმური შემოწმების დასრულებიდან 5 დღის ვადაში, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის ხელმძღვანელი დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც დაუყოვნებლივ წარედგინება ან ეგზავნება რეგულირების ობიექტს და იგზავნება შესაბამის სასამართლოში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 3 დღის ვადაში დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი ადგენს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობას (დანართი №1), რითაც განისაზღვრება რეგულირების ობიექტის მიმართ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის აღმოსაფხვრელად სავალდებულო გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ მოთხოვნა. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობა წარედგინება ან ეგზავნება რეგულირების ობიექტს მისი შედგენიდან 2 დღის ვადაში.

3. თუ რეგულირების ობიექტის მიერ ჩადენილი ქმედებით ზიანი მიადგა გარემოს, კანონმდებლობით დადგენილ წესით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან სამი დღის ვადაში გეგმური/არაგეგმური შემოწმების განმახორციელებელი პირების მიერ განისაზღვრება (გამოანგარიშდება) გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა და შესაბამის სარჩელთან ერთად დაუყოვნებლივ წარედგინება სასამართლოს.

4. გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშებისას ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის ხელმძღვანელი ავსებს გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების სპეციალურ ბლანკს (დანართი №2). გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების სპეციალური ბლანკის ერთი ეგზემპლარი სასამართლოში გაგზავნასთან ერთად ეგზავნება რეგულირების ობიექტს.

5. რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებას ადასტურებს ხელმოწერით.

6. რეგულირების ობიექტის წარმომადგენლის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობის ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციულ მიწერილობაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობა ეგზავნება რეგულირების ობიექტს მისი შედგენიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

8. თუ გეგმური/არაგეგმური შემოწმების შედეგად ინსპექტირების განმახორციელებელი პირი დაასკვნის, რომ რეგულირების ობიექტის საქმიანობა მოიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ინსპექტირების მასალები წარედგინება დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირების მიზნით.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინსპექტირების აქტი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და საქმის სხვა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის ორგანოებს.

10. ინსპექტირებასთან დაკავშირებული საქმის მასალები ინახება სამმართველოში.

მუხლი 20

1. გეგმური/არაგეგმური შემოწმების დასრულების შემდგომ, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი არა უგვიანეს 10 დღისა, ადგენს ანგარიშს განხორციელებული ინსპექტირების შესახებ და საქმის მასალებთან ერთად წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს. დეპარტამენტის უფროსი განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ანგარიშს არა უგვიანეს 5 დღისა წარუდგენს მინისტრს.

2. განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ანგარიშში თანმიმდევრულად აისახება ფაქტები და გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც შეკრებილ იქნა რეგულირების ობიექტის ინსპექტირების პროცესში. განხორციელებული ინსპექტირების შესახებ ანგარიშში ასევე ასახული უნდა იქნეს რეგულირების ობიექტებისთვის ადმინისტრაციული მიწერილობის შემუშავების აუცილებლობისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობა

„——“ ———— 201 —— წ. _____

(შედგენის ადგილი)

_____

_____

(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი,

საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი, იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

ნაკლოვანებები და დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა:

_____

_____

_____

ინსპექტირების სამმართველოს რა ქმედებების განხორციელებისას იქნა გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები:

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გევალებათ: _____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

თან ერთვის დანართი: _____
_____

(დანართის გვერდების რ-ბა. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის ადმინისტრაციული მიწერილობის გრაფის გამოუყენლობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში: _____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: _____
_____

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ——————————————————————

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები: ——————————————————————
——
——
——

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი, ადმინისტრაციული მიწერილობის გაგზავნის ან სხვა შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი)

დანართი №2

გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოანგარიშების სპეციალური ბლანკი

№ ---------- „-------“ ----------2011 წ.

საქართველო, 0114 , თბილისი, გულუას ქ. 6. ტელ. (+995 232) 272 72 36
6 Gulua str. 0114, Tbilisi, Georgia. Tel. (+995 322) 272 72 36